**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**

**აკადემიური საბჭო**

**დადგენილება №01-05-04/187**

ქ. თბილისი 12 ოქტომბერი 2020წ

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, პროფესორ ლევან კლიმიაშვილის სამსახურებრივი ბარათის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, ვიცე-რექტორის, პროფესორ ლევან კლიმიაშვილის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 ოქტომბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, პროფესორ ლევან კლიმიაშვილის შუამდგომლობა და დისტანციურ რეჟიმში სწავლების და საგამოცდო პროცესის ორგანიზებასა და იმპლიმენტაციაში ჩართულ, დანართში ჩამოთვლილ პირებს, წახალისების მიზნით, მიეცეთ პრემია ერთი თვის ხელფასის ოდენობით (იხ. დანართი).
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ პედაგოგებისაქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავითაღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დავით გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **იაშა კუტუზიძე**